პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 122 (1292) ○ კვირა, 12 ოქტომბერი, 1958 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი. ○ ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამას წინათ თბილისში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, რომელსაც ესწრებოდნენ ქართველი გოლიათები სანდრო კანდელაკი და არსენ მეკოკიშვილი.

სურათზე: ს. კანდელაკი (მარცხნივ), ა. მეკოკიშვილი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ღია კონკურსი ნიშნზე „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი აცხადებს ღია კონკურსს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ კომპლექსის ნიშნის საუკეთესო ესკიზებზე.

კონკურსის პირობები

.. კონკურსი ტარდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის დავალებით მშთ ახალი კომპლექსის დამმუშავებელი კომისიის მიერ.

2. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ყველა მსურველმა. მშთ კომპლექსის ნიშნის ესკიზები, მათი აღწერა და შემსრულებელთა მისამართები უნდა წარმოდგენილ იქნას მშთ ახალი კომპლექსის დამმუშავებელ კომისიაში.

3. მშთ კომპლექსის სამკერდე ნიშანი სიმბოლურად უნდა გამოხატავდეს საბჭოთა ფიზკულტურელთა ყოველმხრივი ფიზიკური განვითარების, აგრეთვე შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის მათი მზადყოფნის იდეას; უნდა ასახავდეს თანმიმდევრობას და ურთიერთკავშირს კომპლექსის საფეხურებს შორის. ნიშანი უნდა მცირე მოცულობისა იყოს და მოსახერხებელი ყოველდღიურ ტანსაცმელზე სატარებლად.

4. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი ნიშნების ესკიზები ფერებში და აღწერა:

ა) კომპლექსი „იყავ მზად შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ (იმშთ I და II საფეხური, 13-16 წლის ასაკის პირთათვის);

ბ) კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის (მშთ I და II საფეხური, 16-18 წლის ასაკის პირთათვის);

გ) კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ (მშთ I და II საფეხური, 18 წლისა და უფროსი ასაკის პირთათვის).

ყოველი კომპლექსის I და II საფეხურის ნიშნები უნდა ერთნაირი იყოს ფორმის მიხედვით და ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მხოლოდ კერძო ნიშნებით.

5. კომისიის მიერ მიღებული და კომიტეტის მიერ დამტკიცებული მშთ კომპლექსის ნიშნების ესკიზებისათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

1 პირველი პრემია — 2000 მანეთი,

2 მეორე პრემია — 1500 მანეთი თვითეული,

2 მესამე პრემია — 1000 მანეთი თვითეული,

2 წამახალისებელი პრემია — 500 მანეთი თვითეული.

6. კონკურსზე ესკიზების წარმოდგენის ვადაა 1958 წლის 15 ნოემბერი (გამოგზავნის ვადა განისაზღვრება გამოგზავნის ადგილის საფოსტო შტამპის მიხედვით).

საკონკურსო ესკიზები საჭიროა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: მოსკოვი, სკატერტნი შესახვევი № 4, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, მშთ ახალი კომპლექსის დამმუშავებელ კომისიას.

ᲔᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის 1500 წლისთავის აღსანიშნავად ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტი ატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს. 13-14 ოქტომბერს ყაზბეგის რაიონში მოეწყობა მასობრივი ალპინიადა ყუროსა და ბორის ძნელაძის მწვერვალებზე. 15-17 ოქტომბერს თბილისის ლენინის სახელობის დარბაზში გაიმართება საქალაქთაშორისო შეჯიბრება ფრენბურთში — თბილისელები მიიღებენ ვილნიუსის სპორტსმენებს. საჭადრაკო კლუბში 16-18 ოქტომბერს მოეწყობა ქალაქის უძლიერეს მოჭადრაკეთა ელვისებური ტურნირი. სამ დღეს გასტანს მოტოგადარბენა რესპუბლიკის რაიონების გავლით, რომელიც 17 ოქტომბერს დაიწყება. 17-დან 24 ოქტომბრამდე დედაქალაქის კორტები დაეთმობა თბილისის პირველობის მონაწილეებს ჩოგბურთში. კიროვის სახელობის პარკის მოედნებზე 18 ოქტომბერს გაიმართება ქალაქის ქალთბურთელთა მორიგი პირველობა. ორ დღეს გაგრძელდება თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი თასის ფინალური მატჩები ფეხბურთში, დასკვნითი შეხვედრა შედგება 19 ოქტომბერს. 17 ოქტომბერს სტალინის სახელობის სანაპიროზე ნავარაუდევია მასობრივი მძლეოსნური კროსის ჩატარება. დიდი საზღვაო დღესასწაული გაიმართება თბილისის ზღვაზე 18 და 19 ოქტომბერს. 18 ოქტომბერს მცხეთიდან თბილისამდე მოეწყობა მძლეოსნური ესტაფეტა, ხოლო 19 ოქტომბერს ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს დარბაზში მოეწყობა შეჯიბრება კრივში — „ღია რინგზე“. ქალაქის ჩემპიონის სახელისათვის თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში მოეწყობა შეჯიბრება 20-22 ოქტომბერს ლენინის სახელობის სპორტდარბაზში.

მიუნჰენის ოლიმპიადა

XIII საჭადრაკო ოლიმპიადის მე-8 ტურში თავისი უკანასკნელი თამაში ჩაატარა საბჭოთა კავშირის გუნდმა. პუერტო-რიკოს გუნდთან 3,5 ქულის მოგროვების შემდეგ საბჭოთა მოჭადრაკეებმა 27 ქულით დაამთავრეს შეჯიბრება და დიდად გაუსწრეს თავიანთ მეტოქეებს. უკანასკნელ ტურს უნდა გამოერკვია ორი დანარჩენი ფინალისტი. ბრძოლა წარმოებდა ჰოლანდიის, ბულგარეთისა და ავსტრიის გუნდებს შორის. ფინალში გავიდნენ ბულგარეთისა და ავსტრიის გუნდები.

მეორე ნახევარფინალურ ჯგუფში მოულოდნელი აღმოჩნდა ესპანეთის გუნდის დიდი წარმატება. ლიდერობდნენ რა მთელი შეჯიბრების მანძილზე, ესპანელებმა ყაიმით — 2:2 დაამთავრეს საპასუხისმგებლო მატჩი აშშ-ს ძლიერ გუნდთან და დაიკავეს პირველი ადგილი. მეორეზე გამოვიდნენ ამერიკელი მოჭადრაკეები.

დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა საპრიზო ადგილებისათვის მესამე ნახევარფინალურ ჯგუფში. მხოლოდ უკანასკნელმა ტურმა გამოარკვია გამარჯვებულნი — ესაა არგენტინის, გდრ-სა და ინგლისის გუნდები. ამჯერად ფინალში ვერ მოხვდა უნგრეთის ძლიერი კოლექტივი.

მეოთხე ჯგუფში ყოველგვარი კონკურენციის გარეშე ფინალში გავიდნენ ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის გუნდები. მესამე ადგილი მწვავე ბრძოლის შემდეგ დაისაკუთრეს შვეიცარელებმა.

გუშინ, გვიან ღამით დაიწყო ოლიმპიადის ფინალი.

5 ოქტომბერს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა XIII საკავშირო ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში.

ტრადიციის მიხედვით ჩემპიონატის პირველ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ თავდაცვის სამინისტროს სპორტული კლუბისა და „კრილია სოვეტოვის“ გუნდები. დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს არმიელებმა ანგარიშით 8:3.

* * *

სურათზე: თამაშის მომენტი.

ფოტო ს. პრეობრაჟენსკისა.

(საკადესის ფოტოქრონიკა).

მსოფლიო პირველობაზე

ხვალ ინგლისის ქალაქ ულერჰოტში იწყება მსოფლიო პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, უნგრეთის, რუმინეთის, პოლონეთის ბრაზილიის, საფრანგეთის, შვეიცარიისა და სხვა სახელმწიფოთა ნაკრები გუნდები. თვითეული გუნდის შემადგენლობაშია სამი სპორტსმენი.



ფრენბურთი. საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის სახ. თასზე. საზოგადოება „განთიადის“ მოედნები. დასაწყისი 11 ს.

ფეხბურთი. თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი თასის გათამაშება ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის. თამაშები ჩატარდება ქალაქის ყველა საფეხბურთო მოედანზე გარდა „დინამოს“ სტადიონისა. დასაწყისი 11 საათზე.

მატჩი „ბ“ კლასის პირველობაზე. თამაშობენ სკეო (თბილისი)-„ყუბანი“ (კრასნოდარი), „დინამოს“ სტადიონი. დასაწყისი 15 საათზე.

გავაუმჯობესოთ აღმზრდელობითი მუშაობა

ფოთში გაიმართა ფიზკულტურული აქტივის საქალაქო კრება. მოხსენებით „სპორტსმენთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" გამოვიდა ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ო. კემულარია.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სპორტის მასობრიობისა და სპორტსმენთა შორის პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებზე. მან აღნიშნა, რომ დაბალ დონეზე დგას სრულწლიური წვრთნა, ვინაიდან ქალაქს არ გააჩნია კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი.

ნაკლოვანებებია წვრთნის მეთოდიკაში. სპორტული საზოგადოებები ცოტას აკეთებენ სპორტსმენთა იდეური აღზრდისათვის, ადგილი აქვს დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს, ყოყოჩობას, ქედმაღლობას და სხვა. საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი ცურვაში ნ. ფიტიკი ხშირად არღვევდა დისციპლინას. იგი იმდენად გაყოყოჩდა თავისი მიღწევებით, რომ საკავშირო პირველობის წინ, გაურკვეველი მიზეზით უარი განაცხადა შეჯიბრებაში მონაწილეობაზე, რისთვისაც გამოყვანილ იქნა ნაკრები გუნდიდან და აეკრძალა შეჯიბრებაში მონაწილეობა.

განხილული საკითხის გარშემო სიტყვებში გამოვიდნენ ვ. ქოქოსაძე („განთიადი"), პ. გიგინეიშვილი (ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი), ა. მოწერელია (საჭადრაკო სექციის თავმჯდომარე), ლ. ჩაგანავა (ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმი), ბ. გუგუციძე (ექიმი), დ. ქლენტი (სპორტსაზოგადოება „კოლმეურნე"), შ. ცომაია (საქ. კპ ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი).

ბაუმანის სახელობის მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის მიერ მოწყობილ იქნა ტურისტული ბანაკი სახელწოდებით „ტურგრადი".

მისმა მობინადრეებმა — სტუდენტებმა ზაფხულის თვეებში რამდენიმე ლაშქრობა ჩაატარეს კრასნოდარის მხარის ადლერის რაიონში, კავკასიონის ქედის განშტოებებზე. მათი ტურისტული ლაშქრობა დაგვირგვინდა „მზის" ტბის, ავადხარის და რიწის ტბის გადავლით.

სურათზე: ტურისტთა ჯგუფი ავადხარასთან.

ფოტო ვ. სემიონოვისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

☆

რაიონული სპარტაკიადა

კომკავშირის მე-40 წლისთავს მიეძღვნა რაიონის ახალგაზრდობის სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდა 140-მდე სპორტსმენი. სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა მძლეოსნობა, ფრენბურთი და ველორბოლა.

მძლეოსნობაში ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ავნევის საშუალო სკოლის, ხოლო ქალთა შორის — ზნაურის საშუალო სკოლის გუნდმა.

როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის ფრენბურთში გამარჯვებული გამოვიდნენ ზნაურის საშუალო სკოლის მოსწავლეები. ამ სკოლის კოლექტივს წილად ხვდა საერთო გუნდური პირველი ადგილი.

უ. ფილიევი

საქართველოს ჩოგბურთელები უკეთ უნდა თამაშობდნენ

ჩვენი ქვეყნის ახლახან დამთავრებული პირველობა ჩოგბურთში მეტად მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივ, რომ მასში წელს პირველად მონაწილეობდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერესი სპორტსმენები. ამ გათამაშების ტექნიკური შედეგები ცნობილია. ჩვენ შევეხებით მხოლოდ საქართველოს ჩოგბურთელთა თამაშის კლასსა და ტექნიკას.

საქართველოს ნაკრები გუნდის მონაწილეთა დიდი ნაწილი შეხვედრებს ატარებდა მაღალ და შემტევ ტემპში, მონდომებულად, მაგრამ მათ ჯერ კიდევ სუსტად აქვთ დამუშავებული თამაშის ტაქტიკური მხარე. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ლ. მძინარიშვილის შეხვედრა კორჩაგინთან. ქართველმა სპორტსმენმა პირველი ორი პარტია ძალზე აგრესიულ სტილში ჩაატარა და ანგარიში თავის სასარგებლოდ წაიყვანა — 2:0, მაგრამ შემდეგ რატომღაც დაცვაზე გადავიდა, მოწინააღმდეგეს ინიციატივის ხელში აღების საშუალება მისცა და დამარცხდა კიდეც. ლ. მძინარიშვილისაგან განსხვავებით თბილისელი გ. მუსაელიანი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელის ა. პოტანინის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდა, მეტოქეს „სულის მოთქმის" საშუალებას არ აძლევდა და ასეთი ტაქტიკის წყალობით დამსახურებულად გაიმარჯვა. ასე მოქმედებდა ი. რიაზანოვაც, რომელმაც სწორედ შემტევი თამაშით დაამარცხა ისეთი ძლიერი მეტოქე როგორიცაა მოსკოველი ვ. ფილიპოვა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საქართველოს ჩოგბურთელებმა წყვილთა შეხვედრებში. აქ აღსანიშნავია ი. რიაზანოვა-კ. მინაევას მატჩი ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონებთან ვ. ფილიპოვა-ლ. პრეობრაჟენსკაიასთან, რომელიც საქართველოს გუნდის წარმომადგენლებმა მოიგეს. ასევე წარმატება ხვდა წილად ნ. მძინარიშვილ-გ. მუსაელიანის წყვილს პ. სმირნოვ-ვ. ტკაჩოვთან, ხოლო კ. მინაევა-გ. ღარიბაშვილმა საქართველოს გუნდს გამარჯვება მოუტანეს ლენინგრადელ ჩოგბურთელებთან შეხვედრაში.

საქართველოს გუნდს მეტი წარმატების მოპოვება შეეძლო, რომ იგი თანაბარი ძალის ჩოგბურთელებით ყოფილიყო დაკომპლექტებული. საქმე იმაშია, რომ თბილისელები ადვილად სძლევდნენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს პირველ შეხვედრებში, რომლებსაც ატარებდნენ დაბალი ასაკის კატეგორიის ჩოგბურთელები, მაგრამ როცა ჯერი მოზრდილებზე დგებოდა, ისინი გუნდის ახალგაზრდა ჩოგბურთელების მიერ მოპოვებულ წარმატებებს ხელიდან უშვებდნენ და ხშირ შემთხვევაში დამარცხებულნი გამოდიოდნენ. ე. ი. მწვრთნელებმა სწორედ ამ უბანზე უნდა გაამახვილონ ყურადღება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შეხვედრის პირველ ეტაპს — ბურთის მიწოდებას. ისეთი უძლიერესი სპორტსმენი, როგორიცაა ი. რიაზანოვა, სუსტად ფლობს ამ მოძრაობას ეს მაშინ, როცა ჩოგბურთელთა დიდი ნაწილი სწორედ ბურთის ძლიერი მიწოდებით აგროვებს საჭირო ქულებს, ი. რიაზანოვა სწორედ აქ თმობს პოზიციებს, მეტად სუსტი და გაუმართლებელი მიწოდებით საშუალებას აძლევს მეტოქეს თავისუფლად მიიღოს ბურთი და შეტევაზე გადავიდეს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩოგბურთელთა სუსტი ფიზიკური მომზადება. თბილისელებს ეტყობათ მარტო ჩოგბურთით არიან გატაცებული და ავიწყდებათ, რომ საჭიროა საერთო ფიზიკური მომზადება, საჭიროა ვარჯიში მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, კალათბურთში და ა. შ. როცა მათი წვრთნა ამ გზით წარიმართება, ისინი პირველი პარტიის დამთავრების შემდეგ „არაქათგამოლეულნი" კი არ იმოძრავებენ მოედანზე, არამედ მთელ შეხვედრას ჩაატარებენ მაღალ ტემპში, დაუღალავად.

ჩატარებულმა შეჯიბრებამ, სადაც საქართველოს გუნდმა მეოთხე ადგილი მოიპოვა, ნათელი გახადა, რომ სისტემატური და ნაყოფიერი წვრთნით რესპუბლიკის ჩოგბურთელებს შეუძლიათ უფრო მეტი წარმატებების მოპოვება.

ვ. შერშოვი,

საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

შეხვედრები ოსტატთან

ქობულეთში ისვენებდა მოსკოველი მოჭადრაკე, სპორტის ოსტატი ი. ვატნიკოვი, რომელმაც რამდენიმე ერთდროული სეანსი მოაწყო ადგილობრივ ჭადრაკის მოყვარულებთან და წაიკითხა ლექციები სხვადასხვა თემაზე.

რაიონულ ცენტრში ოსტატმა სეანსი ჩაატარა 17 დაფაზე. ერთადერთი გამარჯვება მოიპოვა კოლმეურნე ურუშაძემ.

ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში 8 მოწინააღმდეგიდან მხოლოდ ერთმა — სტეფანიდმა შეძლო ყაიმის მიღწევა, ხოლო ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში სპორტის ოსტატთან გამარჯვებას მიაღწია მეურნეობის მუშამ გიგინეიშვილმა და ყაიმს — ინჟინერმა პამფილოვმა.

ი. დოლიძე

ფიზკულტურულ კოლექტივებში

საქარხნო პირველობა

საბურთალოს აგურის ქარხნის ფიზკულტურულმა კოლექტივმა კომკავშირის მე-40 წლისთავს მიუძღვნა თავისი პირადი პირველობა ჭადრაკში, რომელშიც გამარჯვებისათვის იბრძოდა 14 სპორტსმენი. 10,5 ქულით ქარხნის ჩემპიონი გახდა მომარაგების განყოფილების უფროსი ი. ბინიაშვილი. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩნენ ინჟინრები რ. წერეთელი და ი. ბაზლაძე.

ო. სანიკიძე

ორდღიანი ლაშქრობა

ორჯონიკიძის რაიონის ხუნევის საშუალო სკოლამ მოაწყო კომკავშირის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი ორდღიანი ქვეითი ლაშქრობა, რომლის მონაწილეებმა გაიარეს 58 კილომეტრი. შესვენების პერიოდში მოეწყო საუბარი საქართველოს გამოჩენილ მთამსვლელთა შესახებ.

ს. ლომიძე,

ფიზაღზრდის მასწავლებელი.

ტექნიკუმის ჩემპიონები

წულუკიძის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმში ნაყოფიერად მუშაობს ქართული ჭიდაობის, ფეხბურთის ფრენბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობისა და ველოსპორტის სექციები. ამას წინათ ჩატარდა ტექნიკუმის პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც გამარჯვებულები გამოვიდნენ ჟ. მელქაძე, ი. ჰიხლაძე, ნ. კვინტრაძე, შ. ფარჯიანი, ხ. მოსულიშვილი და მ. დანელიშვილი.

ქ. გაზდელიანი

მსახიობთა მატჩი

ბათუმის სტადიონზე აჭარის სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ფეხბურთელებთან და დაამარცხეს ისინი ანგარიშით 3:1. განმეორებით შეხვედრაში, რომელიც პიონერთა პარკში მოეწყო, სტუმრებმა აიღეს რევანში — 4:3. შეჯიბრებას სჯიდა ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობი ვ. ტორონჯაძე.

ჩ. ბოლქვაძე

მასობრივ კროსში

ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა თავისი მასობრივი კროსი მიუძღვნა კომკავშირის მე-40 წლისთავს.

სტარტზე გამოვიდა 261 სტუდენტი. ქალთა შორის ერთ კმ. რბენაში გაიმარჯვა რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის მეორეკურსელმა ნ. ვორონინამ. ვაჟთა 3-კილომეტრიან დისტანციაზე პირველი იყო ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი თ. ბალარჯიშვილი.

ნ. ცერცვაძე

სახელოვანი კომკავშირის მე-40 წლისთავს მიუძღვნეს მასობრივი ღონისძიებები

საინტერესო მარშრუტით

ოთხ დღეს გრძელდებოდა წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლის ფიზკულტურელთა ლაშქრობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50-მდე მოსწავლემ. ისინი გზაში ეცნობოდნენ ისტორიულ ძეგლებს, დაათვალიერეს რუხისა და სატანჯიოს ციხე-სიმაგრენი და სხვ. 145 კმ, რომელიც ლაშქრობის მონაწილეებმა გაიარეს, საკმაოდ რთულ ტრასას წარმოადგენდა.

კ. ჭანტურია,

ი. ხარებავა.

რაისაბჭოს პლენუმზე

სიღნაღში ჩატარდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს მესამე პლენუმი, რომელმაც მოისმინა რაისაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ვ. ყაჯრიშვილის მოხსენება „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს მესამე პლენუმის შედეგებისა და რაისაბჭოს ამოცანების შესახებ".

კამათში გამოსულმა პ. ნაცვლიშვილმა, ვ. უსენაშვილმა, ხ. ზედელაშვილმა, შ. ყარალაშვილმა და სხვებმა ამხილეს ის ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ გააჩნიათ ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს.

პლენუმმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

ნ. მღებრიევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური კომიტეტის ჯილდოზე

გასული თვის დასასრულს თბილისში, „განთიადის“ სპორტულ ბაზაზე დაიწყო ქალაქის უძლიერეს ფრენბურთელთა ტურნირი ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის ქალთა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ფიზკულტურის ინსტიტუტისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ვაჟთა გუნდები.

გუნდური პირველობის პრიზის გარდა დაწესებულია 2 სპეციალური პრიზი საუკეთესო მოთამაშისათვის, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის. გათვალისწინებულია უძლიერეს ათეულში მოხვედრილ მოთამაშეთა სიგელებით დაჯილდოებაც. გათამაშების შედეგების მიხედვით შედგება ქალთა და ვაჟთა რესპუბლიკური ნაკრები გუნდები, რომლებიც უახლოეს ხანში დაიწყებენ მზადებას ხალხთა II სპარტაკიადისათვის.

დებულების თანახმად გათამაშება ეწყობა 4 წრედ, ე. ი. ყოველი გუნდი მოწინააღმდეგეებს შეხვდება ოთხჯერ.

ქალთა გუნდებს შორის პირველ ადგილზე მიდის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფრენბურთელთა გუნდი, რომელსაც აქტივში სამი მოგება აქვს. პირველ წრეში ორი გამარჯვების შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა, რომელიც ძირითადად თბილისის განათლების განყოფილების ყოფილ მოთამაშეთაგან შედგება, მეორე წრეში დამარცხება განიცადა პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების გუნდებისაგან ერთნაირი ანგარიშით — 1:3. ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელებს მხოლოდ ერთი გამარჯვება აქვთ.

გაცილებით მწვავედ მიმდინარეობს ვაჟთა გუნდების შეხვედრები. საკმარისია ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში აქ გამარჯვება აღინიშნება ანგარიშით 3:2. ორი წრის შემდეგ ლიდერობს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი, რომელსაც 3 ქულა აქვს. მომავალმა აგრონომებმა ორი გამარჯვება მოიპოვეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდთან, ხოლო ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელებთან ერთი მოიგეს და ერთიც წააგეს.

მეორე ადგილზეა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი, რომელსაც აქტივში 1 მოგება და 1 წაგება აქვს. მესამე ადგილზე იმყოფება პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი.

ლ. თუშიშვილი

სურათზე: ცეცხლის ხაზზე.

მიწყნარდა გუმისთას ნაპირი

საქართველოს 1958 წლის პირველობა ტყვიით სროლაში

დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ტყვიით სროლაში. უკანასკნელ დღეებში ხელსაყრელი ამინდი დაუდგათ სპორტსმენებს, რის შედეგადაც მთელ რიგ სახეობებში ნაჩვენებ იქნა მაღალი შედეგები. როგორც უკვე ვიტყობინებოდით, საბრძოლო შაშხანიდან 300 მეტრზე სროლაში ქულათა თანაბარი რაოდენობა — 554 ჰქონდათ რ. ანანიკიანსა და გ. ბექთაშევს. სამიზნეების გადასინჯვის შემდეგ მსაჯთა კოლეგიამ პირველი ადგილი მიაკუთვნა რ. ანანიკიანს.

სპორტის ოსტატმა ო. მელიამ (აჭარა) მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან ხუთ სილუეტზე სროლაში მოაგროვა 578 ქულა და ჩემპიონობა მოიპოვა. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 და 100 მეტრზე სროლაში რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა თბილისელი ა. ჯობიშვილი. მისი შედეგი 582 ქულა ახალი რესპუბლიკური რეკორდია. მეორე ადგილზე გამოვიდა მსოფლიო პირველობის მონაწილე შ. ქველიაშვილი 575 ქულა. შ. ქველიაშვილმა ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში 3×20-ზე. მისი შედეგია 562 ქულა, რაც სპორტის ოსტატის ნორმატივს აღემატება.

საინტერესოდ ჩატარდა სადუელო სროლა 300 მეტრზე. აქ პირველი ადგილი დაიკავა აჭარის კოლექტივმა. აფხაზეთის მსროლელები გამოვიდნენ მეორე ადგილზე.

შეჯიბრება დამთავრდა. როგორც მოსალოდნელი იყო, გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს თბილისელმა სპორტსმენებმა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ აჭარისა და აფხაზეთის გუნდები.

ვ. სემიონოვი

ფეხბურთი

ორი მნიშვნელოვანი ღონისძიება

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა დააწესა სამამულო ფეხბურთის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი შეჯიბრებისა და სპორტის დამსახურებული ოსტატის ბ. პაიჭაძის თასების გათამაშების დებულება ფეხბურთში. სამამულო ფეხბურთის იუბილესადმი მიძღვნილი გათამაშება ჩატარდება მიმდინარე წლის 8-დან 30 ნოემბრამდე, ხოლო ბ. პაიჭაძის სახელობის თასზე თამაშები გაიმართება მომავალი წლის 1-დან 28 თებერვლამდე.

ორივე შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, ოფიცერთა საოლქო სახლის, ქუთაისის „ლოკომოტივის“ ოსტატ ფეხბურთელთა, აფხაზეთის, აჭარის, თბილისის ნაკრები გუნდები და საქართველოს სსრ 1958 წლის ჩემპიონი.

ამ ორი საინტერესო ღონისძიების მიზანია უზრუნველვყოთ ფეხბურთელთა გუნდების სრულწლიური წვრთნა. ამასთან რესპუბლიკის უძლიერესმა გუნდებმა, რომლებიც შეხვდებიან საქართველოს ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებს, გადმოიღონ მათგან საუკეთესო, აიმაღლონ თამაშის სპორტტექნიკური დონე.

საუკეთესო ფეხბურთელებისათვის დაწესებულია შემდეგი ჯილდოები: საუკეთესო მეკარეს — სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. მარღანიას სახელობის თასი, მცველს — სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის სახელობის თასი, ცენტრალურ მცველს — სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. ჟორდანიას სახელობის თასი, ნახევარმცველს — სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. ანთაძის სახელობის თასი, თავდამსხმელს — სპორტის დამსახურებული ოსტატის ბ. პაიჭაძის სახელობის თასი. შეჯიბრების მთავარი მსაჯია ფეხბურთის ვეტერანი გ. ჩხიკვაძე.

ვინ გადავა პირველ ჯგუფში

ფ ო თ ი. (ჩვენი სპეც. კორ.). 6 ოქტომბერს ფოთში დაიწყო ფეხბურთში რესპუბლიკური პირველობის მეორე ჯგუფში გამარჯვებული გუნდების ფინალური შეხვედრები. პირველ ჯგუფში გადასვლისათვის იბრძვიან თბილისის სკვო I, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, ტყიბულის ლენინის სახელობის შახტისა და ცხაკაიას „სპარტაკის“ გუნდები.

პირველ დღეს ტყიბულელმა ფეხბურთელებმა მინიმალური ანგარიშით — 1:0 დაამარცხეს არმიელთა გუნდი. ცხაკაიას „სპარტაკისა“ და თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის გუნდების შეხვედრაში პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ — 1:1. მეორე ნახევარში თბილისელებმა ანგარიში ორი ბურთით გაზარდეს, მაგრამ „სპარტაკმა“ ჯერ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი გადამწყვეტი გოლი გაიტანა და გაიმარჯვა ანგარიშით 4:3.

ტყიბულისა და ცხაკაიას ფეხბურთელთა გუნდების მატჩი დამთავრდა ცხაკაიელთა გამარჯვებით — 1:0, ხოლო არმიელებმა მეორე ტურში დიდი ანგარიშით 7:0 მოუგეს ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის გუნდს.

დღეს გაიმართება უკანასკნელი შეხვედრები, სადაც გამოვლინდება ის ორი გუნდი, რომლებიც მომავალ სეზონში ითამაშებენ პირველ ჯგუფში.

ა. ლომაია

სსრ კავშირის თასზე

10 ოქტომბერს მოსკოვში პირველ მეოთხედფინალურ მატჩში მოსკოვის „სპარტაკმა“ დაამარცხა კრასნოიარსკის „ლოკომოტივი“ — 4:1.

გუშინ შედგა დანარჩენი მეოთხედფინალები თასზე. მოსკოვის „ტორპედომ“ ლენინგრადში დაამარცხა ადგილობრივი „ადმირალტეეცი“ — 6:1, მოსკოვის „დინამომ“ ტაშკენტში მოუგო „პახტაკორს“ — 2:0, ხოლო „ლოკომოტივმა“ (მოსკოვი) დაამარცხა „ზნამია ტრუდა“ (ორეხოვო-ზუევო) 2:1.

ამრიგად, ნახევარფინალებში 26 ოქტომბერს ითამაშებ „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)-„ტორპედო“ (მოსკოვი), ხოლო 27 ოქტომბერს „დინამო“ (მოსკოვი)-„სპარტაკი“ (მოსკოვი).



ამას წინათ ბათუმში გაიმართა საბჭოთა კავშირის თასის (ძირეული კოლექტივებისათვის) გათამაშების ერთ-ერთი მეტად პრინციპული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ბათუმის „დინამოსა“ და ლენინგრადის გუნდები. მხოლოდ მესამე შეხვედრაში შეძლეს ბათუმელებმა მატჩის მოგება. ამ სურათზე სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი.

ფოტო ვ. გრიშენკოსი.

ინგლისელი მთამსვლელები კავკასიონზე

მიმდინარე წლის ზაფხულში სსრ კავშირს ეწვია ინგლისელ მთამსვლელთა ჯგუფი ჯ. ნეილის, ქ. ბრეშერის, რ. ჯოუნსის, დ. თომასის, ჯ. ბენდის, ჯ. ჰანტის, ა. ბლეკშოუსა და ჰარისის შემადგენლობით.

მოსკოვიდან ისინი თვითმფრინავით ჩამოვიდნენ კავკასიონის მისადგომებთან, რათა აქედან საბჭოთა მთამსვლელებთან ერთად განეხორციელებინათ ერთობლივი საწვრთნელი ასვლები. მასპინძელთა ჯგუფში იყვნენ ქართველი ალპინისტებიც — სპორტის ოსტატები მიხეილ ხერგიანი და იოსებ კახიანი.

ინგლისელები სტუმრად იყვნენ იალბუზის მახლობლად დაბანაკებულ ნორჩ ალპინისტებთან, შემდეგ მასპინძლებთან ერთად გადავიდნენ ბეზინგის ხეობაში.

ბეზინგის რაიონში მათ მოახდინეს ერთობლივი ასვლა გესტოლაზე და შხარაზე, გაიარეს ჯანღი-თაუს ჩრდილოეთი ქედი, ხოლო ბენდმა და ჰარისმა დაიპყრეს დიხ-თაუს აღმოსავლეთ მწვერვალი სამხრეთის ქედიდან.

შემდგომში, ამინდის გაფუჭების გამო, ვერ მოხერხდა დასახული გეგმების სრული განხორციელება, მაგრამ სტუმრები მაინც კმაყოფილი დარჩნენ ამ ასვლით.

გამომშვიდობებისას ინგლისელ მთამსვლელთა ჯგუფის მეთაურმა ჯონ ჰანტმა განაცხადა: „თქვენი მთები ისეთი არ აღმოჩნდა, როგორსაც ველოდით. ჩვენ ვვარაუდობდით ალპური ტიპის ასვლების მოწყობას, მაგრამ შევცდით. კავკასიონზე ასვლა გაცილებით სერიოზული საქმეა და იგი პატარა ჰიმალაურ ექსპედიციას მოგვაგონებს. რაც შეეხება საბჭოთა ალპინისტებს, ისინი უფრო გამოცდილი აღმოჩნდნენ, ვიდრე მე ველოდი“. შემდეგ ჰანტმა თქვა: „ბეზინგის ხეობა ერთ-ერთი ყველაზე წარმტაცი ადგილია, რომელიც მე ოდესმე მინახავს. მაგრამ ვფიქრობ, ბეზინგის კედლის მწვერვალები უფრო თავისი გრანდიოზულობით ანცვიფრებენ ადამიანს. უშბა საოცრად მშვენიერი მწვერვალია“.

ჯ. ჰანტმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ალპინიზმის ორგანიზაციას.

* * *

ამას წინათ ლონდონიდან მოვიდა ბრიტანეთის ალპური კლუბის პრეზიდენტის — სერ ჯონ ჰანტის წერილი, რომელშიც ის გულთბილად ეპატიჟება საბჭოთა მთამსვლელებს საპასუხო ვიზიტისათვის ინგლისის, უელსისა და შოტლანდიის მთებში.

„თქვენ შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, — წერს იგი, რომ თქვენს ჩამოსვლას გულთბილად შეხვდებიან ჩვენი ალპინისტები და ყველა ის, ვინც დაინტერესებულია ჩვენს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუმჯობესებით“.

10,0 — რეკორდი არაა

მთელს მსოფლიოს მოედო ცნობა იმის შესახებ, რომ ევროპის ჩემპიონმა არმინ ჰარიმ (გფრ) 6 სექტემბერს ქალაქ ფრიდრიჰსჰაფენში 100 მეტრი გაირბინა ფანტასტიკურ დროში — 10,0 წამი.

მაგრამ ეს შედეგი არ იქნება შეტანილი მსოფლიო რეკორდების ცხრილში. სპეციალურმა კომისიამ გულდასმით შეისწავლა ის ვითარება, რომელშიც ა. ჰარიმ გაირბინა დისტანცია. ექსპერტიზამ დაამტკიცა, რომ სარბენი ბილიკის სიგრძე უდრიდა 100,02 მეტრს, ხოლო დაქანება სტარტიდან ფინიშამდე 11 სანტიმეტრს უდრიდა. გარდა ამისა, რბენა 100 მეტრზე არ შედიოდა შეჯიბრების პროგრამაში.

ამის გამო ა. ჰარის შედეგი არ იქნა გაგზავნილი მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციაში განსახილველად.

უჟგოროდი— თბილისი

ამას წინათ თბილისში ჩატარდა მატჩი უჟგოროდისა და თბილისის ჩოგბურთელთა შორის. ყოველი გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა 4 ვაჟი და 2 ქალი. გუნდურ ჩათვლაში შედიოდა 2 ერთეული და 5 წყვილის თამაშების შედეგი.

პირველ დღეს სტუმრებმა მხოლოდ ერთ შეხვედრაში შეძლეს გამარჯვების მოპოვება: ი. გაგერმა და ტ. ნეგერმა დაამარცხეს გ. ღარიბაშვილისა და ლ. მძინარიშვილის წყვილი — 6:2, 6:2. დანარჩენ შეხვედრებში გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ

მეორე დღეს სურათი განმეორდა, მხოლოდ ი. გაგერმა მოუტანა თავის გუნდს გამარჯვება გ. მუსაელიანთან შეხვედრაში (5:7, 6:4, 6:1). დანარჩენ შეხვედრებში გაიმარჯვეს თბილისელებმა.

მატჩის საერთო ანგარიშია 12:2 თბილისელთა სასარგებლოდ, რომლებიც შემდეგი შემადგენლობით გამოდიოდნენ: კ. მინაევა, რ. აბუანდაძე, გ. ღარიბაშვილი, ლ. და ნ. მძინარიშვილები და გ. მუსაელიანი.

ლ. ფალიანი

რაისაბჭოს ჩემპიონაჟი

ერთ თვეს გრძელდებოდა გურჯაანის „კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირველობა ფეხბურთში. გამარჯვებისათვის იბრძოდა კარდანახის, ვეჯინის, ჭადრის, ჩუმლაყის, გურჯაანის, ვაზისუბნის, შაშიანის, კალაურის, მუკუზნისა და ველისციხის ფიზკულტურული კოლექტივები.

რაიონის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ მუკუზნელი ფეხბურთელები.

ი. ოდიშელიძე

განცხადება

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურის კომიტეტი მიმდინარე წლის 10 ოქტომბრიდან ატარებს მძლეოსნობის მსაჯთა აღრიცხვას.

მძლეოსნობის მსაჯთა საქალაქო პრეზიდიუმი.

ორი თარიღის აღსანიშნავად

7 ოქტომბერს, დილის 10 საათზე სოხუმში სტარტი მიეცა მოტოგადარბენას, რომელიც მიეძღვნა თბილისის 1500 და კომკავშირის მე-40 წლისთავს.

მოტოგადარბენა მოაწყო აფხაზეთის დოსაააფის კომიტეტის სოხუმის ავტომოტოკლუბმა. მისი მარშრუტია: სოხუმი-ტუაფსე-ნოვოროსიისკი-კრასნოდარი-მაიკოპი - ჩერკესკი-ორჯონიკიძე-თბილისი - ქუთაისი-სოხუმი.

გადარბენაში მონაწილეობს 16 სპორტსმენი. კოლონის უფროსია ა. ჯაფარიძე. მოტოციკლისტებმა თან წაიღეს ორი სამახსოვრო ვიმპელი, რომელთაგან ერთს გადასცემენ მაიკოპის ავტომოტოკლუბს მეგობრობისა და კომკავშირის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად, ხოლო

მეორეს — თბილისის ქალაქის საბჭოს — დედაქალაქის 1500 წლისთავის აღსანიშნავად.

• • •

სურათზე: პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი პ. კრასინსკი ესაუბრება გადარბენის მონაწილეებს.

ტექსტი და ფოტო ვ. სემიონოვისა.

მერვედფინალი

ვენაში გაიმართა ევროპის ქვეყნების თასის კიდევ ერთი მერვედფინალური შეხვედრა. ადგილობრივი „ვინერსპორტკლუბის“ ფეხბურთელებმა მიიღეს „იუვენტუსი“ (იტალია), მატჩი მიმდინარეობდა მასპინძლების აშკარა უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

ოლიმპიადა

ბიგ-ლიგოვანი

უბედური შემთხვევის მიუხედავად

ამერიკელმა მძლეოსანმა ჰაროლდ კონოლიმ ამ ზაფხულს მოხსნა მ. კრივონოსოვის მსოფლიო რეკორდი უროს ტყორცნაში, უჩვენა რა შედეგი 68 მეტრი და 68 სანტიმეტრი. და ეს მაშინ, როცა მას პარალიზებული აქვს მარცხენა მხარი, რაც მის დაბადებისმიერ ნაკლს წარმოადგენს.

ამის მიუხედავად, კონოლიმ მტკიცედ აირჩია მძლეოსნური გზა და თავისებური, დაყენებული ვარჯიშების შედეგად არარად აქცია ეს მძიმე ნაკლოვანება.

რაში მდგომარეობდა მისი ვარჯიში?

კონოლი ბევრს მუშაობდა სიმძიმეების აწევაზე. რითაც კუნთებს იმაგრებდა და მიაღწია არა მხოლოდ მარჯვენა ხელის მძლავრ განვითარებას, არამედ პარალიზებული მარცხენის ფუნქციების ამაღლებასაც.

ასეთი ვარჯიშების დროს, მძიმე ტვირთის ქვეშ, მას ორჯერ გადუტყდა მარცხენა მხრის ძვალი, მაგრამ როგორც კი ძვალი ერთდებოდა, წვრთნას განაგრძობდა.

ამის შედეგად, ავადმყოფის მარცხენა ხელიც, რომელზეც ხელთათმანია მორგებული, საგრძნობლად ეხმარება კონოლის მაღალი შედეგების მიღწევაში.

— წარმატებითი ტყორცნის შემთხვევაში, — განაცხადა ჰაროლდ კონოლიმ, — ჩემი თითების წვერები შავი სისხლიანი ბებერებით იფარება.



⊙ **დორტმუნდი.** ევროპის ჩემპიონმა ა. ჰარიმ (გფრ) ამას წინათ 100 მეტრი გაირბინა 10,2 წამში. შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა ცნობილმა სპრინტერმა მ. აგოსტინიმ — 10,3. ევროპის ჩემპიონმა ჰერმარმა 200 მეტრზე რბენაში აჩვენა 20,8.

⊙ **ლონდონი.** ინგლისის და ფინეთის მძლეოსანთა მატჩში შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ბრიტანეთის ნაკრებმა ესტაფეტაში 4×1 მილზე. გუნდის შედეგი 16.30,6 ახალი მსოფლიო რეკორდია.

⊙ **პარიზი.** ფრანგმა მძლეოსანმა ბერნარდმა ამას წინათ განაახლა ეროვნული რეკორდი 2.000 მეტრზე რბენაში — 5.11,8.

⊙ **პრაღა.** საბჭოთა ჰოკეისტები მსოფლიო ჩემპიონატის წინ ამხანაგურ მატჩში შეხვდებიან ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებს. ამას გარდა განზრახულია საბჭოთა ჰოკეისტების შეხვედრა შეერთებული შტატების, ინგლისის, შვეიცარიის და პოლონეთის გუნდებთან.

⊙ **ლაიპციგი.** ცნობილი ჩეხი სტაიერი ემილ ზატოპეკი მეგობრული არმიების პირველ სპარტაკიადაზე მოწვეული იყო როგორც საპატიო სტუმარი. ზატოპეკმა ლაიპციგში დაჰყო სამი დღე და შემდეგ გაემგზავრა ჩინეთში.

⊙ **გლასგო.** ინგლისელმა ველოსიპედისტმა ქალმა მ. რობინსონმა დაამყარა 3 ახალი მსოფლიო რეკორდი: 1-საათიან რბოლაში მან განვლო 39,710 კილომეტრი, 10 კილომეტრზე რბოლაში აჩვენა 14.14,0, ხოლო 20-კილომეტრიან ტრასაზე — 29.47,8.

ორი თარიღის აღსანიშნავად

პარიზის რაიონში, კრეშენციოს ქუჩაზე

პრესის მიმოხილვა

იტალიის სპორტული პრესის ძირითად თემად გადაიქცა მზადება XVII ოლიმპიური თამაშებისათვის. ყველა ჟურნალ-გაზეთი თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის სპეციალურ ორგანოსთან „ოფიციალურ ბიულეტენთან“ ერთად მკითხველებს დაწვრილებით მოუთხრობენ არამარტო იტალიელთა მზადების შესახებ, არამედ სხვა ქვეყნების ოლიმპიური კომიტეტების საქმიანობაზე.

„ოფიციალური ბიულეტენის“ მეოთხე ნომერი მთლიანად დათმობილი აქვს რომში ბაზების მშენებლობის საკითხს, კერძოდ, „ოლიმპიური სოფლის“ მოწყობის საკითხს, როგორც ბიულეტენი იტყობინება მთელი ძალით გაჩაღდა სპორტსმენთა მისაღები ბინების მშენებლობა პარიოლის რაიონში. „სოფელი“ 30 ათას კვადრატულ მეტრ ფართობს დაიჭერს. რომელზეც იქნება 80-მდე ორ, სამ და ოთხ სართულიანი შენობები. ფაქტიურად აქ იქნება ორი ქალაქი — ერთი მამაკაცებისათვის, მეორე — ქალებისათვის. თვითეული ოთახი დაეთმობა ორ. მაქსიმუმ სამ სპორტსმენს, ხოლო თვითეული ჯგუფის 7-9 სპორტსმენისათვის მოეწყობა სპეციალური სანიტ-ჰიგიენური კვანძები (საშხაპე, აბაზანა და ა. შ.).

„ოლიმპიურ სოფელში“ ყველა დელეგაციის განკარგულებაში იქნება სამი ტელეფონი და ამდენივე მოტოროლერი — „ვესპა“, რადგან „სოფლის“ ტერიტორიაზე აკრძალული იქნება სხვა ტრანსპორტით შესვლა. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ შეჯიბრების ადგილზე სპორტსმენთა გადაყვანის დროს, მაქსიმალურად იქნება დაკმაყოფილებული აქ მცხოვრებთა კვების საქმე, ამ მიზნით ოლიმპიური თამაშების დღეებში იმუშავებს 14 რესტორანი, ათობით მაღაზია. შეჯიბრებების დამთავრების შემდეგ მონაწილეთა კულტურული მომსახურებისათვის სპეციალურად შენდება გართობისა და დასვენების დაწესებულებები, სხდომათა დარბაზები, ტურისტთა ბიურო, სატელეფონო სადგურები, ფოსტის განყოფილებები, საავადმყოფო, საპარიკმახეროდ და სხვ. ერთი სიტყვით „სოფლის“ დამპროექტებლებს უმნიშვნელოდ წვრილმანებიც კი არ გამორჩენიათ მხედველობიდან.

იტალიის საზოგადოებრივ საუშაოთა სამინისტრომ პროექტის წარდგენისთანავე მისცა თანხმობა „ოლიმპიური სოფლის“ მშენებლობის შესახებ და 8 ათასი სპორტსმენისათვის საცხოვრებლების ასაშენებლად გამოიყო 6.500.000 ლირა.

ოლიმპიურ სოფელთან მოეწყობა „აკუ აჩეტოზას“ სპორტული ბაზა იგი 220 ჰექტარ ფართობს დაიჭერს. აქ უკვე აშენდა ათობით მოედნები სპორტთამაშობათა ყველა სახეობისათვის, 50-მეტრიანი აუზი. ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ კი ეს შესანიშნავი კომპლექსური ბაზა გადაეცემა იტალიის ნორჩ სპორტსმენებს. დამთავრდა ფეხბურთისა და ბალახის ჰოკეის მოედნების, აუზის, ტანვარჯიშული დარბაზის მშენებლობა.

კრეშენციოს ქუჩაზე, ვატიკანის ახლოს სპეციალური ორსართულიანი შენობა აქვს დათმობილი XVII ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორს — იტალიის ნაციონალურ ოლიმპიურ კომიტეტს. შენობის ყველა ოთახში დილიდან საღამომდე გაისმის სატელეფონო ზარები. იწერება წერილები, იგზავნება დეპეშები მსოფლიოს ყველა კუთხეში. უკანასკნელ პერიოდში გადაწყდა, რომ თექვსმეტი ფინალისტის მატჩები ფეხბურთში ჩატარდეს ტიციანის სტადიონზე, რომლის რეკონსტრუქცია დასასრულს უახლოვდება. წინასწარი შეხვედრები მოეწყობა ფლორენციაში, გროსეტოში, ლივორნოში, ნეაპოლში, პერუჯასა და პესკარში.

ტიციანის სტადიონიდან 200-მდე მეტრზეა მცირე სპორტული სარბიელი ანუ „პალაციეტო დელო სპორტი“, როგორც იტალიელები უწოდებენ მას. მისი მშენებლობა ჯერ კიდევ მთლიანად როდია დამთავრებული, მაგრამ უკვე არაერთი საერთაშორისო მატჩის მოწმეა. აქ გაიმართა იტალიისა და ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელთა საერთაშორისო შეხვედრა. ეს ბაზა შექმნილია არქიტექტორ ვიტელლოციისა და ინჟინერ ნერვის პროექტით და უურადღებას იპყრობს მთელ რიგ საამშენებლო რთული საკითხების გადაწყვეტით.

მიუხედავად იმისა, რომ ახლა რომში ბევრი რამაა საინტერესო, სპორტის მოყვარულთა მთელი ყურადღება მაინც გიგანტური საწყლოსნო სტადიონის მშენებლობისკენაა მიპყრობილი, რომლის დროული დამთავრება ყველა იტალიელს თავის პირადი დარსების საქმედ მიაჩნია. ახლა აქ, სადაც ჯერჯერობით მხოლოდ ქვაბურისა და ტრიბუნების კონტურების ნახვა შეიძლება, ყოველდღიურად ასობით მოხალისე მუშაობს. თამაშების გახსნამდე კარგა ხნით ადრე მწყობრში ჩადგება სხვადასხვა სიღრმის და სიგრძის რამდენიმე აუზი, რომელთა შორის უდიდესი იქნება ოლიმპიური აუზი 25 და 50-მეტრიანი ბილიკებით. აქვე ვარაუდობენ აუზის აშენებას წყალში მხტომელთათვის. აღსანიშნავია ის, რომ ცენტრალურ აუზს ექნება წყალქვეშა განათება, რაც მაყურებელს საშუალებას მისცემს თვალყური ადევნოს სპორტსმენის ყოველგვარ მოძრაობას. ამ ბაზის სიდიდეზე მეტყველებს ერთი დამახასიათებელი ფაქტი — ერთდროულად მასში ცურვა შეეძლება 3 ათასამდე კაცს.

მაგრამ კრეშენციოს ქუჩის ბინადარნი მხოლოდ ბაზების მშენებლობით როდი ფარგლავენ თავიანთ საქმიანობას. საორგანიზაციო კომიტეტმა უკვე დაამტკიცა ოლიმპიური ჩირაღდნის ტრასა ოლიმპოს მთიდან რომამდე. ჩირაღდანი „სტარტს აიღებს“ ოლიმპოდან ათენამდე, აქედან ზღვით სიარაკუზამდე, ხოლო შემდეგ სიცილიის გავლით შეუვლება რა იტალიის აღმოსავლეთ სანაპიროს, პომპეისა და ნეაპოლის გავლით ფინიშს დაამთავრებს რომში.

საორგანიზაციო კომიტეტმა მოიშორა მეორე საზრუნავიც. წინასწარი გაყიდვისათვის 53 ქვეყანას უკვე გაუგზავნა თამაშებზე დასასწრები ბილეთები.

რომის ერთ-ერთი გაზეთი ბეჭდავს აშშ-ს ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის კ. ვილსონის წერილს, სადაც სხვათაშორის ნათქვამია: „დღემდე არასოდეს ვყოფილვართ ისეთი ძნელი ამოცანის წინაშე, როგორც ახლა. ჩვენ გვსურს შევინარჩუნოთ ჩვენი პოზიციები სპორტში და გამარჯვება მოვიპოვოთ რომის თამაშებზე, რისთვისაც გაათკეცებული ენერგიით ვამზადებთ გუნდებს, — ამ მიზნით მთავრობამ 1,5 მილიონი დოლარი გამოიყო“.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის 3-89-62, მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 06632